ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისა და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის
2021 წლის 30 მარტის ოქმი N1

სხდომა დაიწყო 17:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ტაბაღუა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე

ბესიკ ტოგონიძე - მერის პირველი მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე

ლევან კავთიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

ნინო ნიკოლავა - მერიის აპარატის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი გენდერულ საკითხებზე

ზაზა ზაზაძე - ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო ქვირია - ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო სოსელია - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ეკა პაპუაშვილი - არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო ქავთარაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

გრიგოლ ვეფხვაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

დავით იშხნელი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

გიორგი ტუხაშვილი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

არამუდმივი წევრები:

– ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები

– ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელები

სხდომა გახსნა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ **ირაკლი ტაბაღუამ**

ირაკლი ტაბაღუა: ჩვენი მუნიციპალიტეტი არის ერთერთი მოწინავე მუნიციპალიტეტი ვისაც ჰქონდა საშუალება რომ ამ პროგრამების ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით ჩაეტარებინა კვლევები და შედეგზე ორიენტირებული, მომავალი ბიუჯეტის დაგეგმვა მომხდარიყო წლის დასაწყისში, ეს არის სწორი გზა განვითარებისთვის და იმ პროცესებისთვის, რასაც რუსთავის მუნიციპალიტეტი შეეჭიდა.

ლევანი კავთიაშვილი: მოგახსენებთ, რომ ქალაქ რუსთავის მერმა 1 მარტს გამოსცა შესაბამისი ბრძანება, რომელიც ასახავს ვალდებულებებს მთელი წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებებისას, კალენდარის მიხედვით (იხ. დანართი N1 და N2). დღეს გვაქვს პირველი სხდომა და როგორც წერილშიც აღვნიშნეთ, იქნება საუბარი მოსახლეობის გამოკითხვის შინაარსობრივ ნაწილზე. აქ ძირითადად ყურადღება იქნება გამახვილებული თუ რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით და ღონისძიებებით. მეორე ნაწილი კი მოიცავს მოსახლეობის აზრის კვლევას, თუ რა იქნება პრიორიტეტული სფერო, რომელიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს 2022 წელს.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით, კარგი იქნება თუ აღნიშნულ პროცესში ჩაერთვებიან მერის წარმომადგენლები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის კვლევას დაიწყებენ კონკრეტული უბნებიდან, ასევე შევჯერდეთ კითხვარის შინაარსზე, სასურველია თითოეული მაჟორიტარი მონაწილეობდეს ამ კვლევებში. დაახლოებით პირველი ივნისისთვის უკვე კვლევის შედეგები უნდა ვიცოდეთ, რომ შემდგომში განვსაზღვროთ პრიორიტეტული მიმართულებები ამა თუ იმ ღონისძიებებისათვის. უნდა ჩატარდეს შეხვედრები ყველა კანონის მოთხოვნის დაცვით, დღევანდელ შეხვედრაზე უნდა დაიგეგმოს მსგავსი შეხვედრების მეთოდებიც, რათა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს ჰქონდეს შესაძლებლობა ნორმების დაცვით მოახდინოს ამ შეხვედრების ჩატარება. შემუშავდება კითხვარიც, რითაც მოსახლება შეაფასებს ამა თუ იმ პროექტებს და ამით განვსაზღვრავთ რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა ან პირიქით. გავიგებთ მათ აზრს, რამდენად მოსწონთ ჩვენს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული, თუ განსახორციელებელი პროექტები. შესაძლებელია კვლევის მომსახურება შევისყიდოთ, სადაც დეტალურად, მოქალაქისთვისაც უფრო მარტივ და გასაგებ ენაზე ჩაიწერება, თუ რა იგეგმება ამა თუ იმ სფეროში მუნიციპალიტეტის მხრიდან.

ირაკლი ტაბაღუა: რაც უფრო მეტი მოქალაქე იქნება ჩართული უკეთესია, მეტი ჩართულობა მეტ შედეგზეა ორიენტირებული, ესაა ერთერთი წინაპირობა ბიუჯეტის წარმატების.

ლევანი კავთიაშვილი: კვლევის მომსახურეობის შესყიდვის შემთხვევაში, სტატისტიკისთვის დაახლოებით 2000 ადამიანის გამოკითხვა იქნება საჭირო, თითოეულ მაჟორიტარულ ერთეულში დაახლოებით 150-200 მოქალაქე.

ირაკლი ტაბაღუა: მუნიციპალიტეტებს, სკოლებს, ბაღებს უნდა მივცეთ გამზადებული დაბეჭდილი კითხვარი, რომელიც შეივსება და შემდეგ პროგრამულად დაითვლება და მომზადდება.

გრიგოლ ვეფხვაძე: ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ გრაფიკი და დავგეგმოთ შეხვედრები მერის წარმომადგენლებისა და მაჟორიტარების ჩართულობით. ჩვენს მიერ განხილული კითხვარი გადაეგზავნება ყველას და უკვე 5 აპრილისთვის, 3 თვის შესრულებული ანგარიშების და კითხვართან დაკავშირებული მოსაზრებები უნდა იქნას წარმოდგენილი.

ირაკლი ტაბაღუა: შემდეგი შეხვედრები ჩავნიშნოთ ეტაპობრივად, დაახლოებით 4-5 სამსახურისთვის ერთად, 5 აპრილიდან და ამ შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნას წინადადებები.

გრიგოლ ვეფხვაძე: ყველას მინდა ვთხოვო, რომ კვარტალური ანგარიშები წარმოადგინონ დროულად, რათა საკრებულოს შესაბამისი კომისიის ჩართულობით იქნას განხილული.

ირაკლი ტაბაღუა: აუდიტის სამსახურს მიეცა დავალება, შერჩევითი პრინციპით მოახდინოს წარმოდგენილი ანგარიშების, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ აიპების და სამსახურების მონიტორინგი. იყავით ყურადღებით, რომ დროულად შესრულდეს ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ლევანი კავთიაშვილი: სამსახურებს და ყველა ორგანიზაციას, გადმოგეგზავნებათ პროგრამების, ქვეპროგრამების შესრულების ფორმები, შუალედური და საბოლოო შედეგების ასახვის მიზნით (რა დაიგეგმა, საწყისი მაჩვენებელი, დაგეგმილი და გეგმის შედეგის მაჩვენებელი) (იხ. დანართი N3,4,5,6). გაკეთდება ცდომილების პროცენტული აღწერა, რატომ ვერ შესრულდა ან რატომ გადააჭარბა შედეგს და აღინიშნება შესაბამისი განმარტება. წლის ბოლოს ბიუჯეტის სრული ანგარიში ამ ფორმებზეა დამოკიდებული. ვინც არის ფინანსურ ანგარიშებზე პასუხისმგებელი, მათთვის ეს საკითხები ცნობილია.

პრიორიტეტების შედგენის სამუშაოები მოიცავს ასევე გენდერული ასპექტების გათვალისწინებას პროგრამულ ბიუჯეტში, სადაც 19 მარტამდე უნდა განსაზღვრულიყო, რომელ საპილოტე პროგრამებს ავირჩევდით, იქიდან გამომდინარე, რომ სანამ ბრძანებას გამოვცემდით, ექსპერტთან გვქონდა კონსულტაციები და მივიღეთ რჩევა, განსაზღვრული ყოფილიყო რომელიმე საპილოტე პროგრამა, შემდგომ 30 აპრილამდე დაიგეგმება ტრენინგების გრაფიკიც.

ირაკლი ტაბაღუა: გენდერული ბიუჯეტირება დაგვეხმარება, ჩვენი ბიუჯეტი იყოს დაბალანსებული, ყველა მოქალაქისათვის განურჩევლად ადმინისტრაციული ერთეულისა.

ლევანი კავთიაშვილი: ამ საკითხთან დაკავშირებით სტრუქტურული ერთეულიდან უნდა გამოიყოს პასუხისმგებელი პირი, ერთეულშივე, რომლებიც ჩაერთვებიან პროგრამების შედგენაში და გაივლიან ტრენინგებსაც.

ირაკლი ტაბაღუა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე

ბესიკ ტოგონიძე - მერის პირველი მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე

ლევან კავთიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

ნინო ნიკოლავა - მერიის აპარატის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი გენდერულ საკითხებზე

ზაზა ზაზაძე - ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო ქვირია - ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო სოსელია - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ეკა პაპუაშვილი - არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო ქავთარაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

გრიგოლ ვეფხვაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

დავით იშხნელი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

გიორგი ტუხაშვილი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

დავით ხაჩიძე - ააიპ „რუსთავის კორპუსის" დირექტორი - სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრი

დავით შანიძე - ააიპ „სახელოვნებო გაერთიანებების, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის" დირექტორი - სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრი

რევაზ გოგიძე - ააიპ „რუსთავსერვის ცენტრის" დირექტორი - სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრი

ზვიად გავაშელი - მერის წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ტერიტორიულ ორგანოში - სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრი

ალექსანდრე ზაზაძე - მერის წარმომადგენელი შოთა რუსთაველის სახელობის ტერიტორიულ ორგანოში - სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრი

ლაშა ბუსხრიკიძე - მერის წარმომადგენელი დავით აღმაშენებელის სახელობის ტერიტორიულ ორგანოში - სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრი

თამარ ჩხიკვაძე - მერის წარმომადგენელი ვახტანგ გორგასალის სახელობის ტერიტორიულ ორგანოში - სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრი

დიმიტრი წიქარიშვილი - მერის წარმომადგენელი ჟიული შარტავას სახელობის ტერიტორიულ ორგანოში - სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრი

ერეკლე ლაცაბიძე - მერის წარმომადგენელი იაკობ ცურტაველის სახელობის ტერიტორიულ ორგანოში - სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრი

ირაკლი მდივანი - მერის წარმომადგენელი ძველი რუსთავის სახელობის ტერიტორიულ ორგანოში - სამუშაო ჯგუფის არამუდმივი წევრი